№ 30 თებერვალი 10, სამშაბათი 1887 თებერვალი 10, სამშაბათი **№ 30**

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

ოთხშაბათი 11 თებერვალს,

ბ. ალექსიევ-მესხიევის ბენეფისი

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ჰამლეტი

ტრაგედია შექსპირისა 5 მოქმედებად, გადმოთარგმნილი ინგლისურიდამ თავ. ივ. მაჩაბლისაგან.

მოთამაშენნი: ქქ. საფ.-აბაშიძისა, თამაროვისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი აწყურელი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 9 თებერვალი

იმ დღეს კვირის ნომერში წარმოვსთქვით, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალსა სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწლს გონებისას და გულისას და ეს მოსდის ან უვიცობით, ან ნგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის თავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაცა გვაქვს ჩვენ დღეს, ღირსშესანიშნავი განძია და მრავალ გვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის. ამას ყველა გვიმოწმებს, ვისაც კი საკუთარის თვალით ჩაუხედნია ჩვენს ლიტერატურაში და არა სხვის შთაგონებით, სხვის ჩაძახვითა. მაშასადამე, თუ კრიტიკას დღეს ჩვენში ფეხი არ აუდგამს, ამისი მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და არა იგი, რასაც იძახიან ზოგნი იმისათვის, რომ ჩვენს ლიტერატურას ამაოთავ-მოწონებით უკადრისობენ და ჰთაკილობენ, როგორც მითამ და ბაღლებისათვის სათამაშოს ჰთაკილობს დავაჟკაცებული კაცი და ზოგნი იმისათვის, რომ საკუთარს უღონობას ნიღაბი ჩამოაფარონ, ბრალი თვით აიცილონ და თვითონ ლიტერატურას დასდვან.

ჩვენ წინა წერილში კრიტიკის უქონლობის ბრალი თვითონ ჩვენს საკუთარს უძლურებას და უღონობას მივაწერეთ და აი რა საბუთი მიგვიძღვის. ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და პოეზია ცალკედ ჯერ ხელ-უხლებელი განძია. არც ერთს უცხო ქვეყნის მეცნიერს, რომელსაც ჩვენს თვალში სახელი და აბრუ აქვს, მისთვის ჯერ ხელიც არ მიუკარებია, არავის ამ მხრით თავისი აზრი არ გამოუთქვამს, თავისი ბეჭედი არ დაუსვამს. მაშასადამე, ჩვენს ლიტერატურაზე მზა-მზარეულს აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც წიგნებში და ვერც გაზეთებში. ამ საგანზედ ერთს სიტყვასაც ვერ იპოვით ვერსად, ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყოველს ჩვენგანს, ვისაც კი მოუწადინია ჩვენის ლიტერატურის კრიტიკა, თავისის საკუთარის ჭკუით, საკუთარის ცოდნით, საკუთარის მსჯელობით შეუდგეს კრიტიკის რთულს და მძიმე საქმესა, რომ თავისი საკუთარი განაჩენი დაადგინოს. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამ იძულებაშია. რას იზამთ? ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ!... ჩვენი ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ მეტად სუსტია ამ თვით-მოქმედებისათვის. ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“ დარვინის თეორიას ზედ-მიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავით გადაგიშლიან; შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომეროსზედაც, რომელნიც, — ჩვენში კი ითქვას, ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უაზარმაზარ წიგნებს დასწერენ და იქნება ისეთი სასწაულიც მოხდეს, რომ წასაკითხად ღირსი წიგნებიც დასწერონ, და ერთს პაწია ლექს კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძლევბიან როგორც რიგია. ნუ გაიკვირვებთ, რომ ეს ასეა. პატარა რომ ჩაუფიქრდეს კაცი ამ საოცარს ამბავს, მიზეზს მალე მიუხვდება.

შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალ გვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე ამაზედ ასეთისა, თუ ისეთის აზრის შედგენა მეტისმეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთიერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამასაც ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვით-მოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თვითონ ჰქმნის, თვითონ სჯის, თვითონ სწონავს, თვითონ სჭრის და თვითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად აწყვია ევროპიის ლიტერატურის სალაროში მზა-მზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვეთ და რაკი ეს გექნებათ, ხელის გაწვდენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და რაცა გსურთ ის გამოიღოთ.

სულ სხვაა, თუ სურვილი დაგებძრათ ჩვენის მწერლობის, თუ მწერლების საკრიტიკოდ. აქ ყველაფერი საკუთარის ჭკუით უნდა ჰზიდოთ და საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ. თქვენს გარე აქ ვერას იპოვნით, ვერას იშოვით. აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭრიახობა, სხვა ძალ-ღონე. შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარიც“ არა ჰშველის. ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვით-მსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან. აი ჩვენი სისუსტე სწორედ ამ თვით-მსჯელობის, თვით-მოქმედების უქონლობაშია. თუ რომელსამე საგანზედ ჩვენებურს „ინტელიგენტს“ სხვისის აზრისათვის ყური არ მოუკრავს, თუ რომელსამე საგანზედ სხვა უცხო ენის წიგნებსა და გაზეთებში აზრი არ ამოუკითხავს, ის საგანი იმისათვის ყოვლად ბნელია და იმ საგნისათვის იგი ყოვლად მუნჯია: ვერას იტყვის, იმიტომ რომ თვით-მსჯელობას, თავისის გონებით გაძღოლას იგი ჩვეულ არ არის. რამდენი სასაცილო მაგალითია თვითონ ჩვენს ლიტერატურაში, რომ საზოგადო თეორის გულ-მხურვალე მქადაგებელს ვერ ეცნოს ცალკე მაგალითი ამავე თეორიისა და რასაც ზოგადად, თეორიით ამტკიცებდეს თავგამოდებით და მხურვალებით, იმას იმავე თავ-გამოდებით უარ-ჰყოფდეს ცალკე მაგალითში. რათა? იმიტომ-რომ ამ ცალკე მაგალითს ქვეშ არა ჰქონია წარწერილი, რომ ამა-და-ამა მოძღვრებისაა და თვითონაც მოძღვარს იმოდენა თვით-მსჯელობა არა ჰქონია, რომ თავისავე მოძღვრების ერთი მაგალითთაგანი საქმეში ეცნო.

თვით-მსჯელობა, თვით-მხედველობა გონებრული უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს და ის უნარი კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. ამ გვარის მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გეტემ დაგვიხატა თავის ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმ გვარ კაცებისა,

---

ფელეტონი

სვანური ლეგენდები

ანუ

სვანების ამაოდ-მორწმუნებანი

I

ქვეყნის შექმნა

უწინარესს ყოველისა ქვეყნიერობა წყლით იყო მოცული. ღმერთი-შემქმნელი (მუფდგენი—მსახველი) ქვეყნის იმ დროს იმყოფებოდა „სამყაროს“ კლდეში (სამყარაჲ კოჯ). ერთს დღეს იგი გამოხტა სამყაროს კლდითგან და ჩახტა წყალში; წყალში მას შესციედა, შეკრთა და ორი ცრემლი გადმოუვარდა თვალთაგან. ეს ცრემლები გადიქცნენ მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზებად, რომელთაგან პირველი მუდამ მარჯვენით უდგას ღმერთსა და მეორე — მარცხნით. ღმერთი ძირსა და ძირს მიდიოდა წყალში და ირჩევბოდა. ამ დროს მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზები ილლიაშებში ამოუდგნენ და ღმერთი ზევით ასწიეს. სამთავე ამათ წყალი როგორმე უნდა მოესპოთ და ხმელეთი აღმოეჩინათ. მათ ეს ხერხი იხმარეს: უბერეს წყალს სამთავემა და როგორც იყო, ზღვის უფსკრულს ჩავიდნენ და აქ სილაზე ფეხი მოიკიდეს. იქვე ვილაცას ნავალი, კვალი ნახეს. ღმერთმა ბრძანა: მოდი ამ კვალს მივსდიოთ, ვნახოთ სად წაგვიყვანს და ვისიაო. ანგელოზები დათანხმდნენ გაჰყვნენ ამ კვალს, რომელმაც «ლურჯი»-ს ქვის ქვეშ მიიყვანა (ირჟი ბაჩ). ასწიეს ქვა; ქვეიდამ გამოხტა „სამოელი“ *) (სამაალ), ეცა ღმერთს ყელში და დარჩობას უპირებდა. ღმერთი შეწუხდა, ანგელოზებს შველა სთხოვა, მაგრამ სამოელს ვერც ამათ გააშვებინეს ღმერთი. მეტი გზა აღარ იყო, ღმერთმა ასე სთხოვა სამოელს:

— ოღონდ გამიშვი და რაც გინდა მთხოვეო.

სამოელმა მიუგო:

— სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ მიძმეო.

ღმერთი ყაბულს გახდა, სამოელმა ხელი უშვა და თავის გზაზე გასწია. ღმერთი და ორი ანგელოზი აქ დარჩნენ. შეუდგნენ წყლისა და ხმელეთის ერთის მეორისაგან გაყოფას, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. აშენებდნენ კედელს წყალსა და ხმელეთს შუა, წყალი მოაწვებოდა კედელს, დაანგრევდა და ხელ-ახლად მოედებოდა ხმელეთს. შეწუხდნენ სამნივე, ხედავდნენ, შრომა ფუჭად მიდიოდა; არ იცოდნენ, რა ექნათ. მიქელ-მთავარ-ანგელოზმა უთხრა ღმერთს:

— წავალ შენს ძმა სამოელთან, — ეგებ იმან რაიმე ხერხი გვასწავლოსო. ღმერთი ნებას დაჰყვა; ანგელოზმა სამოელთან გასწია და უამბო მისვლის მიზეზი. სამოელმა მართლა ასწავლა ნამდვილი ხერხი:

— გარდაეცი ჩემს ძმა ღმერთსაო, — უთხრა სამუელმა მთავარ-ანგელოზს, — რომ რამდენიც შეიძლოთ იმდენი ჰთალეთ ქვა სამთავემ, აშენეთ კედლები და მერმე ისევ ანგრიეთ. ეს კედლების შენება-ნგრევა გაიმეორეთ ბევრჯელ და როცა ეს მოგბეზრდეთ, ორი საყვირი გაჰედეთ, ერთი-მეორეს მიაბჯინეთ და თქვენ ორმა ანგელოზებმა ჰბერეთ შიგ სული, რაც შეიძლოთ. როდესაც თქვენ ორნი საყვირის ბერვით დაიღალოთ, მაშინ თვით ღმერთმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდეს, ისე დაიყვიროს მაღლა ხმითა. ამის შემდეგ ხმელეთი წყლისაგან განთავისუფლდება: ხმელეთი თავისთვის დარჩება და წყალი თავის ადგილს დაიჭერს.

მიქელ მთავარ-ანგელოზმა ხერხის სწავლებისათვის მადლობა გადუხადა სამოელს და დაბრუნდა ღმერთთან, რომელსაც ყოველივე უამბო, რაც სამოელმა უთხრა. ამათ ყოველივე აასრულეს, რაც კი სამოელმა სთქვა, ე. ი. შეუდგნენ ქვის თლას, კედლების რამოდენჯერმე შენება-ნგრევას; ორი საყვირი გაჰედეს, უბერეს სული, სანამ შეიძლეს; უკანასკნელად ღმერთმა ხმა-მაღლა დაიყვირა და შემდეგ ყველა ამისა წყალი თავისთვის წავიდა და ხმელეთი გამოჩნდა. შემდეგ წყლისა და ხმელეთის გაყოფისა, ღმერთმა შვიდის დღის განმავლობაში გააჩინა ყველა ცხოველი კაცითურთ. პირველი კაცები იყვნენ ევა და ადამი ღმერთმა მიწა ამოილო, ჩაბერა სული და გაჩდნენ ევა და ადამი ორივე ბრმანი. მიქელმთავარ-ანგელოზმა დაუნიშნა მათ სამყოფი ალაგი და დაუბარა, რომ სანამ მე არ მოვიდე, მანამ არავის არაფერი გაუგონოთო და გასწია თავისთვის. ევა და ადამი მარტო დარჩნენ. ამ დროს მოვიდა მათთან სამოელი თხის სახით და უთხრა: რას გაჩერებულხართ, აი თქვენს ახლო ვაშლის ხეა, აცოცდით მასზე, სჭამეთ მისი ნაყოფი და თვალ-ხილულნი იქმნებითო. ევამ დაუჯერა, აცოცდა ხეზე, მოსწყვიტა ვაშლი, ჩაკბიჩა და მერმე ადამს გარდასცა. ორთავეს თვალები აეხილა და—დაინახეს რა თავისი სიტიტვლე—შერცხვათ. რამდენისამე ხნის შემდეგ მოვიდა მიქელ-მთავარ-ანგელოზი, დაუძახა ევას და ადამს, მაგრამ იგინი ვერ ეჩვენნენ, რადგანაც ტიტველ-შიშველნი იყვნენ. ანგელოზი მიხვდა, რაში იყო საქმე; უთხრა, მოგეცადნათ თქვენთვის სჯობდაო და თავი დაანება. მას შემდეგ გამრავლდა ევა-ადამის ნათესავი იმ ფერად და სახით, როგორათაც ეხლა ვხედავთ. ადამსა და ევას რომ სამოელისათვის არ გაეგონათ და ვაშლის ჭამა არ

---

*) სამოელი—ერთი მთავარ-ეშმაკთაგანი.

რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი კი ღმერთს, თუ ბედს იმათვის არ მიუმადლებია. ნუ გაგვიწყრებიან, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვით-მსჯელობისა, თვით-მხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავ-კარგიანობაში ვერაფერი გაგვიგნია, თავი და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს. ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა გვაქვს არა რომელისამე საგნისა საზოგადოდ და ლიტერატურისა საკუთრად. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ ეგ კრიტიკა ჩვენც გვეღირსება ოდესმე და მაგის მოვლენა, ვითა შვილი თვით-მსჯელობისა, ჩვენის სულიერ ძალ-ღონის აღმატების და განდიდების ნიშანი იქმნება.

* * *

თუ ვისმე ოდესმე სწყურებია თვალით ნახვა მწერლობის აპოთეოზისა, კვირას უნდა მოსულიყო ქართულს თეატრში და ამ ნეტარებას დასწაფებოდა. თუ არ თვალით ნახულს, ძნელად წარმოიდგენს კაცი იმას თუ,— როგორ დახვდა საზოგადოება „თამარ ცბიერის" წარმოდგენას და მის ავტორს აკაკის. საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა. ავტორი დიდის ტაშის ცემით და „ბრავოს" ძახილით რამდენჯერმე გამოიწვიეს. სცენაზედ გამოსულს აკაკის ერთიანის ტაშის გრიალით და ერთიანისვე დიდის აღტაცების კიჟინით მიეგება მთელი საზოგადოება, დიდი, თუ პატარა. თეატრში ტაშის ცემა და ძახილი კი არ იყო, იყო ერთი რაღაც გრგვინვა და ჭექა-ქუხილი აღტაცების ფრთით გატაცებულის გულისა. სამწუხაროა, რომ ეხლა გარემოება ხელს არ გვიწყობს, ღრმად და ვრცლად ჩავუკვირდეთ ამ არა-ჩვეულებრივს ამბავსა და განვუზიაროთ მკითხველებს იგი დიადი სიამოვნება, რომელმაც ასე ააძგერა საზოგადოების გული მისდა სასახელოდ... ჩვენმა არტისტებმა მიართვეს ბ-ნს აკაკის დაფნის გვირგვინი და საათი და საზოგადოებამ— ძვირფასი სამწერლო იარაღი.

ახალი ამბავი

⁂ 6-ს იანვარს, 1887 წ., სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ „კრუჟოკში" გამართულის ბალიდამ შემოვიდა: ბილეთების ფასი 1,545 მან., პრემიები 207 მან., ბუფეტიდამ 248 მან. 50 კ. სრული შემოსავალი იყო 2,000 მან. 50 კაპ.

დაიხარჯა: ბილეთების და აფიშების დასაბეჭდი 12 მან., ქაღალდის ფასი და აფიშების გასაკვრელი 9 მან. 20 კაპ., „კრუჟოკს" წვრილმანის ხარჯისათვის 60 მან. 85 კ., ბუფეტის გამართვისათვის 84 მან. 30 კ., მემუსიკეთა და საზანდარს 75 მან., გაზეთებში განცხადების დაბეჭდვისათვის 22 მან. 55 კ., ყვავილებზე და სხვა წვრილმანებზე 28 მან. 40 კ. სრული გასავალი იყო 292 მან. 30 კ.

ხარჯს თუ გამოვალთ, წმინდა შემოსავალი იქნება 1,708 მან. 20 კ.

გამგე კამიტეტი დიდის სიამოვნებით უცხადებს მადლობას თავის თავმჯდომარის ამხანაგს კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ორბელიანისას, რომელმაც იტვირთა ბალის გამართვა; „კრუჟოკის" უფროსების რჩევას, რომელმაც ათხოვა კამიტეტს სახლი და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ინებეს და ბალში მობრძანდნენ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ წელს განზრახვა აქვს აქაურს მთავრობას ორგან გამართოს ამიერ-კავკასიაში საექიმო სადგური, ერთი საცხენისში კახეთისკენ და მეორეც—შულავერში. თითოეულს სადგურში იქმნება ერთი ექიმი, რომელსაც ჯამაგირად მიეცემა 130 მან. თვეში, ორი ფერშალი და თითო ნასწავლი ბებია-ქალი. სადგურში იქნება რამდენიმე ალაგი მძიმე ავად-მყოფთა დასაწვენად. ამ სახით ამიერ-კავკასიაში მალე სულ 7 საექიმო სადგური იქმნება, რადგანაც ხუთი კარგა ხანია რაც გამართულია. თუ ამ სადგურების საქმე კარგად წავიდა, შემდეგ ამ გვარი სადგურები ბევრი დაარსდება ამიერ-კავკასიის ყველა თემში.

⁂ ამ თვეის გასულს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს მდივანი, ანუ სეკრეტარი, რადგან დღევანდელი მდივანი ბ-ნი ვერმიშევი თავს ანებებს თავის თანამდებობასაო. ამ თანამდებობაზე კანდიდატად რამდენსამე ყმაწვილ-კაცს ასახელებენ.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობას სწრაფად მიჰყავს წინ წყლის გაყვანის საქმე. ამ დღეებში თხრილების თხრა მილების ჩასაწყობად დაიწყეს უკვე გრიბოედოვის ქუჩაზე, საცა არშაკუნის სახლებია.

⁂ ამინდი გუშინ უცებ შეიცვალა ტფილისში. დილითვე წვრილი წვიმა დაიწყო და შემდეგ თოვლი წამოურია. თითქმის საღამომდინ მოღრუბლული დღე იდგა. ასეთივე ამინდებია ამ ჟამად ქართლისაკენაო, გვიამბეს ჩვენ გორიდამ ჩამოსულებმა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ გაზაფხულიდამ აქაურის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობა გამოიკვლევს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი საქონელი და საძოვარი ადგილები. ამისათვის უკვე დაუნიშნავთ ორი მოხელე.

⁂ გაზ. „კასპი" ამბობს, რომ საქართველოს ეგზარხოსის კათედრაზედ გადმოყვანილ იქმნება ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსი პალლადიო.

⁂ აქაური ბეითალი მეშჩერსკი აპირობს დაარსოს ისეთი ქარხანა, სადაც გამოიყვანენ ჭირით დახოცილ საქონლის ტყავებს და ამავე საქონლის ქონითაც საპონს გააკეთებენო. („ნ. ობოზ.")

⁂ «კავკ. ობოზ.» ამბობს: ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუბერნიის სამმართველოს, რომ ავჭალისა და ტფილისის შუა გზის გასაყვანად გლეხები დაიბარეთო, რადგან ეს გზა ძრიელ საჭიროა წყლის მილების დასაწყობადაო. დაბარებულ გლეხთ ქალაქის ტეხნიკის ზედა-მხედველობით უნდა გაიყვანონ ეს გზაო.

⁂ გაზ. „კავკაზ"-ში შემდეგს საინტერესო ციფრებს ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ ქალაქის სამკურნალოებში რამდენს ავად-მყოფს ჰქონია წამლობა წარსულ იანვრის თვეში: სამკურნალოში სულ 1,080 ავადმყოფი მისულა, ამ რიცხვიდამ 665 კაცს წამლობისათვის ფასი არ გაუღია; ავლაბრის სამკურნალოში სულ 115 კაცი მისულა და ამათში 93-სათვის უფულოდ უწამლიათ; ხარფუხის სამკურნალოში მისულა 186 კაცი და ამათშიაც 135 კაცისათვის უფასოდ უწამლიათ. სულ სამსავე სამკურნალოში იანვრის თვეში 1,381 კაცს უვლია: 488 ფასით და 893 უფასოდ. ამას გარდა ამ 1,381 სულში: 534 მამა-კაცი ყოფილა, 529 დედა-კაცი და 318 ყმაწვილი.

* * *

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე, 6 თებერვალს. გუშინ საღამოს ათ საათზე ასტეხეს სომხების სობოროს ზარის რეკა. ამ რეკამ დასძრა მთელი ქალაქი. აღმოჩნდა, რომ იწვის დუქნები მჭედლების ქუჩაზე. ნახევარ საათით წინ ცეცხლი გაჩენილიყო ვიღაცა მკერვალის დუქანში, სადაც დაჰრჩომოდათ გაუქრობელი მაყალი. პირველის დუქნიდამ ცეცხლი მალე გადავიდა მახლობელ დუქნებზე და გაძლიერდა. ამ დროს ხალხიც მოგროვდა ათასობით, მაგრამ შველა ძნელი იყო, რადგანაც ცეცხლის საქრობ იარაღის ხსენება არ არის მთელ ქალაქში, რომელშიაც ითვლება 14 ათასი მცხოვრებელი. ჯერ ხალხი, თითქოს, დინჯად იყო, ალბად იფიქრეს, რაც იწვის, იმის მეტს არას მოეკიდებაო, მაგრამ დაჰბერა ნიავმა და ცეცხლი ქუჩის ერთი მხრიდამ მეორეზე გადავიდა და ხან ზევით აჰყვა, ხან ქვევით ჩაჰყვა დუქნებს ქუჩის ორსავე მხრივ. მაშინ კი უფრო ბეჯითად მოექცა პოლიცია და ხალხს ძალა დაატანა, რომ ახლო დუქნები დაეცალათ და მერე დაენგრიათ, რომ ცეცხლი შორს არ წასულიყო. ჯარი გამოტანილ სავაჭრო საქონელს ჰყარაულობდა, მცხოვრებლებიც ხელით, თუ ხუთიოდე ცულით და სამიოდე დიდის ჩანგლით ანგრევდა და ამტვრევდა დუქნებს. ამ რიგად ოთხმა საათმა გაიარა და ძლივს მოუღეს ბოლო გაძლიერებულს ცეცხლს, დაიწვა 34 დუქანი, დაანგრიეს 17 დუქანი; მაშასადამე, ცეცხლმა იმსხვერპლა სულ 51 დუქანი, ღირებული 200,000 მან. დაზღვეული მარტო ერთი ჰურჭლის მაღაზია იყო, რომელსაც ბოლოს მოეკიდა. კიდევ კარგი, რომ ნიავი შესწყდა და შენობებსაც მეტს ნაწილს მიწის ბანები ჰქონდათ, თორემ თქვენი მტერი, რაც დღე დაადგებოდა მთელს ქალაქს, ცეცხლის საქრობ იარაღების უქონლობის გამო. ისიც უნდა იცოდეთ, რო ჩვენს ქალაქს თვით-მართველობა აქვს მინიჭებული და ერთს ამ მმართველობის წევრს 50 მ. ეძლევა ცეცხლის საქრობელის იარაღებისათვის. ამ გაჭირების დროს არც იარაღი გამოჩნდა,--რაც არ არის, რა გამოჩნდებოდა,—და არც ერთი ვინმე იმათგანი, ვის ხელშიაც არის ქალაქის ბედი და უბედობა. ან რომელი გაჰბედავდა დაჰნახვებოდა გამწარებულს ხალხს ბევრი დარჩა ულუკმა-პუროდ. ზოგან დღესაც ბოლავდა ცეცხლი. არც ეხლა დაუფიქრდება ქალაქის საბჭო თავის საქმეებს?!

ზაქრო

* * *

დაბა კალიზმანი, 1 თებერვალს. 28-ს იანვარს დაბა კალიზმანში საშინელი მიწის ძვრა იყო. თხუთმეტის საათის განმავლობაში ოთხჯერ იძრა მიწა. პირველი მიწის ძვრა იყო 28-ს იანვარს, ღამის 8 საათზე, მეორე პირველის ოცს წუთზე, მესამე—პირველის ნახევარზე და მეოთხე-კი 29 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე. უფრო ძრიელ იძრა მიწა მეოთხედ, დილის 11 საათზე: მეოთხედ მიწის ძვრამ უფრო მიიქცია ხალხის ყურადღება: ცხრაჯერ, თუ ათ-ჯერ წავიდ-წამოვიდა მიწა. მიწის ძვრამ თუმცა არა ავნო-რა აქაურ შენობებს და არც ხალხს, მაგრამ დიდს სასო-წარკვეთილებასა და შიშ-კი მისცა ყველა აქაურნი მკვიდრნი მაჰმადიანნი. შუა-ღამისას „ჯამაში" (მეჩეთში) შეგროვდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ, დაგვიხსენ ამ გვარ განსაცდელისაგანაო. კალიზმანში პირველი მაგალითი ყოფილა მიწის ძვრა. აქაური მოხუცებულნი ამბობენ, მიწის ძვრას პირველად ეხლა მოვესწარითო, უწინ არც კი გაგვიგონიაო.

დაეწყოთ, მათი შთამომავლობა ბედნიერი იქმნებოდა; სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა უშრომლად ექმნებოდა (სვანებს ძლიერ მოსწონთ მზა-მზარეული სმა-ჭამა); დედა-კაცს შვილის შობა სრულიად არ გაუჭირდებოდა. შემდეგ ამ ამბისა სამოელმა ღმერთთან გასწია და როგორც ძმამ წილი სთხოვა. ღმერთმა უარი უთხრა.

მაშ რაღ მიძმეო, უთხრა სამოელმა ღმერთს: სხვას თუ არას მომცემ, „საფიცარი" მაინც მომეციო.

ეს „საფიცარი" ისეთი რამ იყო, რომ რასაც კაცი ღმერთს შესწირავდა, ან მიცვალებულს უკურთხებდა, ყველა მას მოუვიდოდა, ვინც საფიცრის პატრონი იქმნებოდა. ღმერთმა საფიცარი მისცა სამოელს; უკანასკნელმა იგი ჩაჰყლაპა და ჯოჯოხეთს გასწია. გავიდა დიდი ხანი, დაიბადა ქრისტე.

რაც ქვეყნად სულდგმული იყო კაციდგან მოკიდებული ქვე-წარმავალამდე, ყველა თან იახლა და ჯოჯოხეთს წავიდა. იქ სამოელი დაუხვდა. ქრისტე დანახვისათანავე ეცა სამოელს ყელში, ხელი წაუჭირა და „საფიცარი" პირიდგან ამოაგდებინა. სამოელს ეს ეწყინა და რომ სამაგიერო გარდუხადოს ქრისტეს, ისე დააბნელა ჯოჯოხეთი, რომ ქრისტემ და მისმა მხლებლებმა ორი თვეე ჯოჯოხეთიდამ გამოსასვლელს გზას ვერ მიაგნეს. შეწუხდა ქრისტე, მიუბრუნდა თავის მხლებელთ და სთხოვა ყველას—ეგება ვინმემ კარს მიაგნოსო. გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ჯოჯოხეთში შესვლისას თავისი ვირი კარებთან დაება. ეს ვირი პატრონის ხმას ყოველთვის იცნობდა და მის ძახილზე ხმას გამოსცემდა ხოლმე. ამ კაცმა უთხრა ქრისტეს, მე გაგიყვან ჯოჯოხეთიდგან, თუ კარგს საჩუქარს მომცემო. ქრისტე თავის წონა ოქროს დაჰპირდა გაყვანის შემდეგ. კაცმა თავის ვირს გასძახა, მან ხმა გამოსცა; კაცი ვირის ხმას მიჰყვა, უკან ქრისტე და მისი მხლებელნი მისდევდნენ და ამ ნაირად ყველანი გამოვიდნენ ჯოჯოხეთიდგან.

ქრისტე მიუბრუნდა ამ კაცს და უთხრა: აბა შენი საჩუქარი მიიღეო. ჩემ წონა ოქროს არა გთხოვო და ეს ამისრულეო: უბიდამ გამოიღო კაცის გული, მიწაზე დააგდო და სთხოვა ქრისტეს: ეს გული დამიფარე ოქროთი და მეტი მე არაფერი მინდაო. ქრისტემ გულზე უანგარიშო ოქრო დააყარა, მაგრამ გული მაინც ვერ დაჰფარა: რამდენსაც მეტს ოქროს დააყრიდა ქრისტე, იმდენჯერ გული ზევით ხტებოდა. ქრისტეს მხლებელთაც თითო-თითო მუჭა ოქრო დააყარეს, მაგრამ მაინც ვერ დაჰფარეს გული. ამ დროს გამოვიდა ერთი კაცი, აიღო ერთი მუჭა მიწა და გულს დააყარა. გული მაშინვე მოკვდა და გაჩერდა. მას აქედ გაჩნდა კაცის სიკვდილი და კიდევაც იმიტომაა ნათქვამი: «კაცის გულს შავის მიწის მეტი ვერაფერი გააძღობსო» (მარემი გვის მეშხა ვერსერ დესამა ამზე). ქრისტესა და მის მხლებელთ ჯოჯოხეთიდამ გამოსვლის დროს სხვათა-შორის თაგვს გამოჰქონდა წმ. პურის თაველი ანუ თავ-თავი. გზაზე თაგვს კატა დაეწია და ერთი მეოთხედი ნაწილი წააგლიჯა თაველს; დაეწია მეორედ—მეორე მეოთხედი წააგლიჯა, მესამედ—მესამე და მეოთხედ რომ უნდა დაჰწეოდა, ეცა კატას ძაღლი და იქვე წაართო. წმ. პურის თაველი რომ კატას მთლად გამოეტანა, კაცს მუდამ ბლომად ექმნებოდა წმ. პური. ამ დანაშაულობისათვის კატას წმ. პური არ ეჭმევა, აკრძალული აქვს, ძაღლს კი ეჭმევაო. ეს ჩვეულება დღემდე შენახულა სვანეთში.

II

ვარიანტი

ღმერთმან შექმნა პირველად ცა. ცას აწვიმა ექვსი დღე; რამდენი ცვარიც ჩამოვარდა ციდამ ექვსის დღის განმავლობაში, იმდენი ანგელოზები გაჩნდნენ, რომელნიც ცაზე აიყვანა. ცისა და ანგელოზების შემდეგ ღმერთმა შექმნა ქვეყანა და ბოლოს ევა და ადამი. ესენი ღმერთმა ერთს კიდობანში ჩასვა და უბრძანა, რომ მის მოსვლამდე არავისთვის არაფერი გაეგონათ; დარაჯად მგელი დაუყენა და თვითონ ცად ავიდა. მას თვისი შექმნილი ანგელოზები არ მიეკარნენ; ეწყინა მათი ურჩობა, ყველანი მიწაზე ჩამოყარა და ეშმაკებად აქცია. ერთი ამათგანი, გველს შეუძვრა მუცელში და შეაცდინა ევა ადამი. ადამი და ევა რომ არ შემცდარიყვნენ, ღმერთი უპირებდა ამ გვარად დალოცვას: სასმელ-საჭმელი ყოველ გვარ გემოვნებისა კაცს ციდამ უნდა მოსვლოდა; დედა-კაცს შვილი იღლიიდამ უნდა ეშობა და ისე ადვილად, რომ დედა შვილის ყოლას მარტო იმით გაიგებდა, რომ მეორე დღეს ახალ-შობილი ძუძუს მოსწოვდა. ადამს და ევას და მათს შთამომავლობას კიდევ ეშველებოდათ რამე, რომ მეორედაც არ განერისხებინათ ღმერთი. სახელდობრ, როდესაც ევა დაორსულდა, ლოგინობის დროს ძალიანა სწუხდა და ტიროდა. ევას ამ გვარ მდგომარეობამ ადამი ერთობ შეაწუხა და ნატრულობდა: ნეტავი ევას ამ მწუხარებისაგან ვინმე იხსნიდეს და რასაც ვინა მთხოვს, აღვუსრულებო. ამ დროს იქვე გაჩნდა სამოელი და უთხრა ადამს: პირობა მომეცი, რომ სანამ „უბადებელი" არ დაიბადოს და „უკვდავი" არ მოკვდეს (ოდუთვა დო ანთანენს, უდგარა დო ადგანს), მანამ შენი შთამომავლობა ჩემ ხელთ იყოსო. ადამმა ამისი პირობა მისცა. ამ ნაირად ევა-ადამის ნათესავი სამოელის ხელში ჩავარდა. ეს ამბავი ღმერთმა გაიგო და ეწყინა. დაუძახა თავის ანგელოზებს, თათბირი ჰქნეს და გარდასწყვიტეს ქრისტეს დაბადება, როგორც „უბადებელისა" და „უკვდავისა". დაიბადა ქრისტე და ეშმაკის ბატონობა დაირღვა. ქრისტე სცხოვრობდა ქვეყანაზე თორმეტი წელიწადი.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

აქეთ რიგიანი ზამთარია. თოვლი თუმცა არ არის ბევრი, მაგრამ საშინელი ყინვებია. ამას წინად ერთი აზრუმელი კაცი, სახელად მარტიროზ ჯეჯზიანცი ყარსიდგან მომაელობისას მეორე ქომურლოოს სადგომის ახლო გაუყინავს ფურგუნში.

ნიკო კოპაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მთელი რუსეთი პატივსა სცემს ამ ჟამად თავის სახელ-განთქმულის პოეტის ა. პუშკინის ხსენებას. პუშკინი უდროოდ მოსტაცა თავის ქვეყანას სიკვდილმა. ორმოც-და-ათი წელიწადი გავიდა მას უკან, რაც დ'ანტესის ტყვიამ მოუსპო სიცოცხლე რუსეთის სახელოვანს მწერალს. ყველგან როგორც სამეფო, ისე წვრილს ქალაქებში ერთ-სულობითა და ერთ-გულობით იგონებენ თავიანთ დიდს მოძღვარს და პატივსა სცემენ იმის ხსენებას.

სულ ერთია, რის გამოც უნდა დღესასწაულობდეს ერი თავის დიდის კაცის ხსენებასაო, ამბობს „Вѣст. Европы": დაბადების დღის გამო იქნება ეს დღესასწაული გამართული, თუ გარდაცვალების დღის გამოვა, დღესასწაულის უმთავრესი ხასიათი მაინც ერთი და იგივეა. დიდის ღვაწლის მოგონებისათვის მადლობითა და პატივის-ცემითა საჭირო არ არის ან უთუოდ ზიზილ-პიპილებით მოვირთოთ და ან მძიმე ძაძით შევიმოსოთ. დაბადების დღესა ვდღესასწაულობთ, თუ დღეს მიცვალებისას, ორივ შემთხვევაში მადლობას ვუხდით იმას, ვინც აღარ არსებობს ქვეყანაზეო.

მაშინ ის აზრი-კი აღარა ტრიალებს საზოგადოებაში, რომ ასეთი ძვირფასი დასაკარგი დავკარგეთო, არამედ ის აზრი, რომ დიდი და საუკუნო განძი დასტოვეს დიდმა მიცვალებულმა კაცებმა კაცობრიობის სადიდებლადაო. ეს აზრია მაშინ პირველი და არა ისა, რომ სიკვდილის შვილი სიკვდილმა წარიტაცაო.

დიაღაც, რომ სიკვდილის შვილი ცას ვერ შეაბერდება და ბოლოს მიწამ უნდა მიიბაროს ყველა, რაც ცოცხლობს დედა-მიწაზე, მაგრამ გულს მაინც ენანება დაკარგვა ისეთის დიდის კაცებისა, რომელნიც თავიანთის ნიჭითა და გონებით გზას უნათებდნენ კაცობრიობას, ენანება მაშინ უფრო, როცა დიდი-კაცი უდროოდ ესალმება წუთის-სოფელს ვიღაც მაწანწალისა და ქონდრის კაცის ტყვიით განგმირული.

* * *

ერთი გერმანული ჟურნალი იგონებს პუშკინის უდროო სიკვდილს და თან ჰკიცხავს ხმალში გასვლის ჩვეულებასა:

ა. პუშკინი, პირველი პოეტი რუსებისა, მოკლულ იქმნა დუელის დროს ვიღაც მაწანწალა ფრანგისაგანაო.

გაზეთი დასცინის იმ წესსა და კანონს პატიოსნების დაცვისას, რომლის ძალითაც კაცი ხშირად იძულებულია დამბაჩა აიღოს ხელში და ისე დაიცვას თავისი სახელი.

ამ წესმა და კანონმა მოითხოვა, რომ საუკეთესო და დიდი მწერალი გასულიყო დუელში და დამდგარიყო ისეთის კაცის პირის-პირ, რომელიც არარაობა იყო და არავითარი ფასი არა ჰქონდა საზოგადოებისათვის. დანტესის ტყვიამ განგმირა პუშკინი მაშინ, როცა ჯერ ისევ სიცოცხლით სავსე იყო, 38 წლისა არც-კი იქნებოდა და როცა გადიფურჩქნა და გადიშალა მისი დიდი პოეტური ნიჭი. იმ ტყვიამ მოაშორა პუშკინი ისეთს საქმეს, რომელიც დიდს ნაყოფს მოუტანდა არა მარტო მის თანა-მემამულეთა, არამედ მთელს კაცობრიობასაც. იმ კაცს საერთო საკაცობრიო ცხოვრებაში თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჭიასა, იმ კაცს, რომელსაც გამვლელი ისე გასჭყლეტს, რომ ვერც-კი გაიგო ვისმე, სწორედ იმ კაცს, რომლის სიკვდილი არავის, არც-კი შეაწუხებდა, იმის მოვალეობის გარდა, მიეცა შემთხვევა, რომ წარეტაცნა სიცოცხლე ბრწყინვალე გენიოსისა. ჩვენ წინა სდგას პოეტი, რომელსაც, აღმერთებენ უკეთესნი მამულის-შვილნი, რომელიც, როგორც გენიოსი, მსოფლიო ლიტერატურაში თავის საკუთარს ადგილს იჭერს, რომელსაც საზოგადოება პატივსა სცემს და ბედნიერია თავის ლამაზის ცოლის სიყვარულითა. ამ დროს გაჩნდება ვიღაც ქონდრის კაცი, ვინ იცის საიდამ მოხეტებული უცხო-ქვეყნელი, და დაუწყებს უსინდისოდ არშიყობას პოეტის ცოლს. შეურაცხ-ყოფილი ქმარი, ჩვეულებისამებრ, თავის პატიოსნების აღსადგენად, ითხოვს დუელში თავის შემარცხვენელს ბოლოს გამოდის, რომ შეურაცხ-მყოფელი. ჰკლავს შეურაცხ-ყოფილს. აი ასე კარგად და სამართლიანად აღადგენს ხოლმე შეურაცხყოფილის კაცის პატიოსნებასა ესრედ-წოდებული წესი და კანონი პატიოსნებისა, რომელიც თითქო გადამდები რამ სენიაო, ისე მოსდებია ქვეყანასა. უნებლიედ მოიგონებ გიოტეს, რომელმაც სთქვა: „გონება ლამის უტუნურებად გადაიქცესო".

* * *

ეხლანდელ პოლიტიკის ვითარებას რომ დაუკვირდეს კაცი, სწორედ რომ უნებლიედ გიოტესავით წამოიძახებს: «ღმერთო, რა ამბავია, ლამის გონება უგუნურებად გადაიქცესო». რასაც ეხლა პოლიტიკაზე ამბობენ დიპლომატები, თითქმის არაფერი არა დაიჯერება-რა. თუ ამბობენ ომი იქნებაო, უთუოდ უკუღმა უნდა გაიგო და იგულისხმო, რომ ომი არ იქნება; თუ ამბობენ, რომ ბისმარკს უნდა საფრანგეთს გაემკლავოსო, არ დაიჯეროთ, უთუოდ სხვა ვინმე ჰყავს ნიშანში ამოღებული.

ძლიერ ცოტაოდნად გამოცხადდა სიბნელითა და წყვდიადით მოცული პოლიტიკა ბისმარკისაო, ამბობს „Новое Время". წარმოიდგინეთ, რომ სახელ-განთქმულის კანცლერის პოლიტიკა ნამდვილ იეზუიტობის პოლიტიკა ყოფილა. ერთსა და იმავე დროსა, რუსეთსა, ჩვენა გვპირდება: თავისუფლებას მოგცემთ ბოლგარიის ნახევარ კუნძულზე, როგორც გინდათ, ისე გაუსწორდით ავსტრიას, მხოლოდ სამაგიეროდ ერთი ვალდებულება იტვირთეთო.

ახლა რა არის ეს ვალდებულება? გაზეთი ამბობს, რომ ბისმარკი სთხოვს რუსეთსა, ჩემის დაპირების სამაგიეროდ, აღმითქვი, რომ ჩემსა და საფრანგეთის საქმეში არ გაერევიო.

ამავე დროსაო, ამბობს გაზეთი, ბისმარკი საფრანგეთსა სთხოვს. საჯაროდ გამოაცხადე, რომ თუ აღმოსავლეთისაკენ საქმე აიწეწოს, შენ ნეიტრალიტეტს არ უღალატებო.

ბისმარკს ის აზრი აქვს, ასეთის იეზუიტობით და ცბიერის პოლიტიკით ერთმანეთს დააშოროს ის ორი სახელმწიფო, რომელთა კავშირისაც ძრიელ ეშინიან რკინის კანცლერსა, მერე გაბატონდეს ევროპაში და როგორც უნდა, ისე იუფლოსო. მაგრამ მალე გაუგეს ეს ცბიერობაო. ბისმარკის უბედურება ეს არის, რომ იმას ჰგონია, ჩემს მეტი ჭკვიანი კაცი აღარავინ არის და ყველას, როგორც მინდა, ისე მოვატყუებო.

საფრანგეთმა გაიგო, ვსთქვათ, ეს ცბიერობა და ღირსეულად დაუხვდა ბისმარკს. „პატარა" გობლემ ისეთი პასუხი შეუთვალა, როგორსაც დიდი სახელმწიფო კაცი თუ მოახერხებდა, მაგრამ ყველა მიუხვდება თუ არა ბისმარკს ეშმაკობას, ეს საეჭვოა ან თუნდა მიუხვდნენ დღეს, ვინ არის თავ-მდები, რომ ხვალ კიდევ სხვა ეშმაკობით არავის არ გაიგდებს კისერზე და ისე არ მოატყუებს, რომ თავი და ბედი აწყევლინოს და თავის ფატერლანდი-კი განადიდოს და გააძლიეროს. ჭკვიანი იმის ჭკვიანია, რომ ყოველთვის მოახერხებს, მტერი ყინულზე გააცუროს:

ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Journal des Debats"-ს დეპეშით აუწყებენ ლონდონიდგან, რომ აქაურს დიპლომატიურს წრეებში გერმანიისა და საფრანგეთის შორის მოსალოდნელის ომით არა შიშობენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიას საფრანგეთთან ბრძოლა არავითარს სარგებლობას არ მოუტანსო. საფრანგეთიც პირველი თითონ არ ასტეხავს ბრძოლას, რადგან ყველა იმ უბედურებათა, რომელიც ამ ევროპის ყველა სახელმწიფოთა საერთოდ ბრძოლასა და სისხლის ღვრას შეიძლება მოჰყვეს, პასუხის-მგებელი შეიქნება და ამისთანა პასუხის-გებას-კი საფრანგეთი თავს ვერ იდებსო. ამ გვარად ევროპას საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომის შიში ისე არ უნდა აფიქრებდეს, როგორც აღმოსავლეთის საქმის გამო, რომელიც დღითი-დღე უფრო მწვავდება და დასაბოლოვებლად ძნელი ხდებაო.

— სტამბოლიდგანა სწერენ გაზეთ „Temps"-ს: ოსმალეთის აზრით, ყველაზედ საუკეთესო საშუალება და ღონისძიება ბოლგარიის საქმის გადაწყვეტისა და დაბოლოვებისა ის არის, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოარჩიოთ მთავარი ამ ქვეყნისათვისაო. ოსმალეთი სულაც არ არის მოწადინებული იმას, რომ ბოლგარები დაამალოს, გინდა თუ არა სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოარჩიეთ მთავრადაო; ოსმალეთს არავითარი სარგებლობა არა აქვს, რომ უეჭველად ამორჩეულ იქმნეს სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი, რომელიც რუსეთის რჩევითა და სურვილით წინ წამოაყენა და და თავის მხრივაც ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად დაასახელა; ოსმალეთი არჩევანების ნებას დიდს საერო კრებას აძლევს, ხოლო მისი სურვილი ის არის, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოირჩიონ მთავარი და ამასთან ისეთი კაცი ამოირჩიონ, რომლის მთავრად ყოფნაზედაც ყველა ბოლგარიის საქმეში მონაწილე დიდ სახელმწიფოთა თანხმობა გამოაცხადონო. ოსმალეთს ისა სურს, რომ დამაბრკოლებელი მიზეზი აცილოს მთავრის ამორჩევის საქმეს დიდის საერო კრების მიერ. მაგალითებრ, ოსმალეთის აზრით, რუმელიისა და ბოლგარიის შეერთების საქმე შეიძლება შემდეგში გარდაწყვიტოთ, ეხლა ჯერ-ჯერობით მთავრის ამორჩევას შეუდგეთ და შეერთება თუ არა რუმელია ბოლგარიას, ეგ იმისი საქმეა, ვისაც მთავრად ამოირჩევთ, იმან უნდა გადაწყვიტოს ეგ საქმეო.

— ამავე გაზეთსა სწერენ სტამბოლიდგანვე: ბოლგარიაში დაარსდა რამდენიმე კომისია, რომელიც ყველა რუსეთის მომხრეთა და ერთგულთ სდევნის და აძევებსო. ამ კომიტეტებს წესად აქვსთ მიღებული, რომ ყველა, ვინც ცხადად და მალულად რუსეთის სასარგებლოდ მოქდებს, ან „საყოველთაო სასლავიანო კომიტეტებიდგან" ფულს აიღებს, ის ბოლგარიის მოღალატეა და უნდა დაისაჯოსო.

— ამ დღეებში სოფიაში დაუპატიმრებიათ ვიღაც ქ-ნი პანასოგლუ, სტამბოლიდგან მოსული. დაპატიმრების მიზეზად ის დაუსახელებია ბოლგარიის მმართველობას, რომ ქ-ნს პანასოგლუს განზრახვა ჰქონდა, აფიცრებთა შორის უთანხმოება ჩამოეგდო და ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის წინააღმდეგ აქეზებდა ამ აფიცრებსაო. სოფიის პოლიცია ამბობს თურმე, რომ ქ-ნს პანასოგლუს ისეთის შინაარსის ბარათები და წერილები აღმოაჩნდა, რომელიც აშკარად ამტკიცებს ყველა ზემოხსენებულსაო. თუ გაზეთს „თავისუფალ ბოლგარიას" დავუჯერებთ, ქ-ნს პანასოგლუს ისა ჰქონდა მინდობილი, რომ ბოლგარიის სამხედრო მინისტრი ნიკოლაევი მოისყიდე და იმის დახმარებით სარეგენტო მთავრობა და სამინისტრო ბოლგარიისა დაამხეო. ჯერ ქ-ნი პანასოგლუ არ მოსულიყო სოფიაში, რომ სტამბოლიდგან ბ-ნის პანასოგლუს წერილი მოუვიდა ბოლგარიის სამხედრო მინისტრს ნიკოლაევს და აი რასა სწერდნენ ამ წერილში: 60,000 მანათს მიიღებთ, ამასთან გენერლის ხარისხს და სამხედრო მინისტრობასვე მოგანდობთ, თუ ბოლგარიის მმართველებს გადუდგებით და ჩვენ მოგვემხრობითო. ნიკოლაევმა ეს წერილი თურმე რეგენტებს აჩვენა და ამიტომ დააპატიმრეს ქ-ნი პანასოგლუო.

— რეგენტი ჟივკოვი ჯერ კიდევ აღმოსავლეთ რუმელიაში და მოგზაურობს. ამას წინად ჟივკოვი ფილიპოპოლში ყოფილა და რაღაც დეპუტაცია მიჰგებებია. დეპუტაციას უთხოვნია ჟივკოვისათვის, რომ ნურავის სურვილს ნუ დაჰყვებით, და ყოველივე ღონის-ძიება იხმარეთ, რომ ბოლგარია დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოთ დარჩესო.

— ლოვნში დაუპატიმრებიათ სამსახურს გარეშე მყოფი მაიორი პანოვი, რომელიც მკვიდრთ რეგენტების წინააღმდეგ აქეზებდა თურმე და ამბოხება უნდოდა ჩამოეგდოვო.

გასართობი

უდიდესი მამული. ყველაზედ უდიდესი მამული მთელს დედა-მიწის ზურგზედ ამერიკის შეერთებულ შტატებშია, ლუიზიანის სამხრეთ დასავლეთისაკენ. ეს მამული ეკუთვნის ერთს ნიუ-იორკელს ფულის პატრონთა საზოგადოებას. მამული სივრცით ერთი მილიონი და ორას ოთხმოცი ათასი დღიურია. სამჯერ უფრო მომეტებულია დაკოტის დიდს მამულზედ. მთავარ-გამგებელი ამ საოცრად დიდის მამულისა, გ-ტგანსი, სწერს ერთს გაზეთში, რომ ეს მამული შესყიდულ იქმნა 1883 წელს შეერთებულ შტატების მთავრობისაგან და ლუიზიანის შტატის გამგეობისაგანაო. მაშინ მთელი მამული წარმოადგენდა საძოვარს მინდორსა, რომელზედაც იალაღობდა 30,000 ცალი საქონელი სხვა-და-სხვა ახლო-მახლო მემამულეთა. მამულის პატრონმა საზოგადოებამ ეს მინდორი გაჰყო პატარ-პატარა საიალაღო საძოვრებად. საზოგადოებას უნდოდა, რომ ამ სახით უფრო კარგად ეგდო ყური, სად რამდენი საქონელი იყო გაშვებული იალაღზედაო. საყარაულოები რვა-რვა ვერსის მანძილზე იყო გამართული ერთი-ერთმანეთზედ. მარტო ლობეები დაუჯდა საზოგადოებას 250,000 ფრ. კარგად რომ დააკვირდა საზოგადოება თავის მამულს, აღმოჩნდა, რომ ამ მამულში შვენივრად მოვა ბრინჯი, შაქრის ლელწამი, ბამბა და პური. მაშინ სულ სხვა წესს დაადგა საზოგადოება. ეს წესი დღესაც იგივეა, რაც მაშინ იყო შემოღებული. ამ სახით ხვნა მიწისა და ყველა სხვა სამეურნეო მუშაობა: ფარცხვა, ლეწვა და სხვანი ორთქლის შეწევნითა სწარმოებს. მაგალითებრ, თუ 120 დღიურს ხოდაბუნია მოსახნელი, ასე იქცევიან: ქედ-იქით დააყენებენ ორს ორთქლის მაშინას. ამ მაშინებს მოჰყავთ მოძრაობაში მათ შორის გაბმული უზარ-მაზარი თოკი ანუ ბაგირი, რომელსაც აბია ოთხი გუთანი. ეს ორი მაშინ საკმაოა, რომ დღეში 20 დღის მიწა მოიხნას. ამ საქმეს სულ სამი კაცი უნდება. მაშასადამე, ას-ოცის დღიურის მოხვნას სულ ერთი კვირა დრო უნდება. ფარცხვა, თესვა, მკა ამ სახითვე სწარმოებს. ამ მამულში არც ერთი ხარი არა ჰყავთ. არა ჰყავთ არც მუშა ცხენი. ერთად-ერთნი პირუტყვნი, რომელთაც აქ კაცები მიიშველიებენ ხოლმე—საჯდომი ცხენები არიან. ამ ცხენებით დადიან მწყემსები და ყურს უგდებენ 16,000 ცალს საქონელს. ამ მამულში სხვა-და-სხვა დაწესებულება არსებობს დიდ-ძალ მოსამსახურეთა საჭიროებათათვის. მაგალითად, არის წისქვილი, მაღაზია სხვა-და-სხვა ნივთეულობისა, ბანკი, შეშის საწყობი, ფოსტის კანტორები, ტელეგრაფის სადგურები საყინულე და სხვანი. ამ მამულს შუაზე სჭრის რკინის გზა, რომელსაც ორგანა აქვს სადგური. ცხენის რკინის გზა ბევრგან არის გამართული ამ მამულში. მამულის პატრონს საზოგადოებას აქვს აგრეთვე თავისი საკუთარი გემებიცა.

**

შეუბრალებელი და სასტიკი მამა. პარიჟის ერთს ბულვარზე შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთი რიგიანად ჩაცმული კაცი სეირნობდა თურმე ბულვარზედ და ხელში ყმაწვილი ეჭირა. ამ ყმაწვილს-კაცს ზედ ეტყობოდა, რომ ავად უნდა ყოფილიყო. ერთს დიდ სახლთან გაჩერდა თურმე უცნობი, ჩამოსვა ყმაწვილი კიბეზედ და მრისხანედ უთხრა:

— ეხლა კი როგორც გინდა, ისე იარე, შენის ტარების თავი აღარა მაქვს, მომწყინდა.

პატარა ბიჭმა დაუწყო თურმე აღერსიანის ხმით ხვეწნა, შემიბრალე, ეტლმა გადამიარა და სიარული არ შემიძლიან, ამ შუაქუჩაში ნუ გამიშვებ და თავს ნუ დამანებებო. ამ ყმაწვილისა და უცნობის ხმა-მაღლა ლაპარაკზედ ხალხი მოჯგუფულა და დიდი უსიამოვნება გამოუცხადებიათ იმის გამო, რომ ყმაწვილს ეგრე შეუბრალებლად რად ექცევიო. მაგრამ სასტიკმა მამამ არავის ყური არ უგდო თურმე, ერთი რაც ძალა და ღონე ჰქონდა მაგრად შემოჰკრა ავადმყოფ ყმაწვილს და ამით უფრო გააბრაზა გარს შემოხვეული მაყურებელნი.

— თქვენი შვილია ეგ ყმაწვილი? ჰკითხა თურმე ერთმა მაყურებელმა.

— თქვენ რა საქმე გაქვთ, ჩემი შვილია, თუ არა, მე ვიცი და ამან! მკვახედ და თავხედად უპასუხა უცნობმა.

— მამაჩემია! წამოიძახა თურმე ყმაწვილმა: ჯერ დედა მოინარიკლა და არც მე გამიშვებს ცოცხალს.

უცნობს ხელ-ახლად მოუწადინია ყმაწვილის ცემა, მაგრამ ერთი მაყურებელი მისულა და შეუყენებია:

— თუ თავს არ დაანებებთ ამ საბრალო ყმაწვილის ტანჯვას, პოლიციელს დავუძახებ და დაგაპატიმრებინებთო,—უთქვამს ამ კაცს.

ამ სიტყვებს უფრო გაუბრაზებია უცნობი და ჯიბეში დანის ძებნა დაუწყვია.

— უფრთხილდით, უფრთხილდით, თორემ დანას დაგცემთ, — წამოუძახნია ყმაწვილს.

ხალხი შეშინებულა და განზედ გამდგარა. ზოგიერთებს ხმა-მაღლა დაუწყვიათ პოლიციელის ძახილი და ყვირილი.

— თუ მაინც-და-მაინც უნდა დამაპატიმრონო,—უთქვამს უცნობს: ისეთს საქმეს ჩავიდენ, რომ დაპატიმრების ღირსიც ვიყოვო. ამ სიტყვებზე ამოუღია ჯიბიდგან დანა და თვალის მისწრების უმალვე საბრალო ყმაწვილისათვის ჩაუცია გულში. ყმაწვილს მომაკვდავის ხმით დაუწივლნია:

— მოვკვდი, მოვკვდი!

ყველანი მისცვივნიან ამ ავაზაკს და გაგლეჯა სდომებიათ კაცის-მკვლელისა, მაგრამ უცნობს ყმაწვილი არხეინად ხელში აუყვანია, ქუდი მოუხდია და უთქვამს:

— ბატონებო, ეს ტიკინია, თოჯაა და არა ნამდვილი ყმაწვილი, როგორც თქვენა გგონიათ. მე თვალთ-მაქცი გახლავართ და თუ ორიოდე გროშს მაჩუქებთ იმისთვის, რომ ასე მოხერხებულად აგიხვიეთ თვალები, დიდი მადლობელი ვიქნებით. ყველანი გამხიარულებულან და, რასაკვირველია, ბევრი ფულიც უჩუქებიათ თვალთ-მაქცისათვის.

**

საფრანგეთის გაზეთები რევოლიუციის დროს. გაზ. „Figaro“-ს სიტყვით, 1789—1799 წწ. საფრანგეთში 1,200 გაზეთამდე გამოდიოდა თურმე. რევოლიუციის დაწყების დროს გაზეთებისა და ჟურნალების გამომცემლები მეტად ახირებულ სახელებს არქმევდნენ თურმეთავის ჟურნალს, თუ გაზეთს. მაგალითებრ: „ბეთლემის სახედარი“, „უბედი“, „ძაღლი და კატა“, „შეუძლებელი საქმეა“, „საწამლავის წამალი“, „წმ. ანტონის ღორი“, „სამხარი“, „მამულის მოყვარე მამალი“ და სხ. და სხ. ზოგიერთს გაზეთებს ისეთს სახელებს არქმევდნენ, რომ ეხლა მათი წარმოთქმა და დაწერა სირცხვილია და უმართებულობაა.

* * *

დეპეშა

7 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ. ამ ბრძანებაში სწერია: იმ მოხსენებიდამ, რომელიც შეადგინეს წარსულს წელს იმათ, ვინც გაგზავნილები იყვნენ ანგარიშიანობის დასათვალიერებლად ადგილობრივ ბრიგადების სამხედრო უფროსთა 135 გამგეობაში შინ დათხოვნილ ჯარის-კაცთა სიების წარმოების გამო, სჩანს, რომ საზოგადოდ ახალი წესი ანგარიშის წარმოებისა სწორედ დანიშნულს ვადაზე ყოფილა შემოღებული. სწორედ ისეც უწარმოებიათ ანგარიში, როგორც დაწესებული იყოო. მინისტრი ამბობს, რომ ადგილობრივ ბრიგადების უფროსთა ყურადღებას მიაქცევს ამ საგანზედ. კანონიერად ანგარიშის წარმოებას დროებით შინ დათხოვნილთა ჯარის კაცთა შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვსო. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ანგარიში ყველა მოსამზადებელის საქმისა ჯარის თოფ-ქვეშ დაყენების შესახებ ცხადი იყოს და გარკვევით ნაწარმოები სამხედრო უფროსთა გამგეობაშიო. დასასრულ, მინისტრი მადლობას უცხადებს ბევრს სამხედრო უფროსს, რომელთაც ამ გვარი ზემოხსენებული ანგარიში სრულის რიგითა და წესით უწარმოებიათ.

უმთავრესის შტაბის ცირკულიარით გამოცხადებულ-იქმნა, რომ იმ თანამდებობათა რიცხვში, რომელთა შესრულებაც ანთავისუფლებს კაცს ჯარში მოწოდებისაგან, ჩაერთოს კიდევ ერთი თანამდებობაცაო, სახელდობრ, თანამდებობა პოლიციის ურიადნიკებისაო.

დღეს სასახლის მოედანზე ხელმწიფე იმპერატორმა დაჰხედა ჯარებს. «Journal de St.-Petersbourg»-ი პასუხს აძლევს ლონდონის გაზეთს „Standard“-ს, რომელმაც დააბრალა რუსეთსა: ბოლგარიის საქმე იმიტომ არ მიდის წინ და ვერა ბოლოვდება, რომ რუსეთი პასუხს არას აძლევს დიდთა სახელმწიფოთა, როცა ეს უკანასკნელნი დაეკითხებიან ხოლმე რასმეო. გაზეთი ამბობს: საეჭვოა, რომ ასეთი რამ ეკითხნოთ რუსეთისათვისაო. მაინც ყოველ-შემთხვევაში რუსეთმა ცხადად გამოთქვა თავისი სურვილი და აზრი ამ საგნის გამო ამ ორის თვის წინადაო. საკვირველი ის არის, რომ უწინ რუსეთს უსაყვედურებდნენ, მეტის-მეტად დიდს ყურადღებას აქცევს ბოლგარიის საქმესა, ახლა-კი სრულიად სხვასა და წინააღმდეგის თვისების საყვედურს ეუბნებიანო. გაზეთი ასახელებს ინგლისის ლურჯს წიგნს და ამბობს, ამ წიგნმა დაანახვა ყველას, საიდგან აქეზებდნენ და აგულიანებდნენ ბოლგარიასაო და დასასრულ დაასკვნის, რომ თუ ბოლგარიის საქმე არა თავდება, «Standard»-მა ამისი მიზეზი რუსეთშიკი არ უნდა ეძებოს, არამედ სხვაგანაო.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ფერგიუსონი იცავდა საზოგადოებათა პალატაში კაბინეთის პოლიტიკას ბოლგარიის საქმის გამო და არწმუნებდა პალატას, რომ ინგლისი მხოლოდ ზნეობრივს შემწეობას აძლევდა ბატენბერგსაო. ინგლისს ამ შემთხვევაში კერძო და საგვარეულო ინტერესები კი არა ჰქონდა, არამედ ეროვნული ინტერესებიო. ამას გარდა, ინგლისის გარევა ბოლგარიის საქმეებში შეზღუდულია საერთა-შორისო ვალდებულებათაგანაო. ფერგიუსონი ამტკიცებდა შემდეგ, რომ ინგლისს არას დროს უარი არ გამოუცხადებია, ვითომ რუსეთს განკერძოებული უფლება არა ჰქონდეს ბოლგარიაშიო. ამასთანავე ფერგიუსონმა ქებით მოიხსენია მაინც სარეგენტო და დაუმატა, რომ ინგლისის ქცევა გამოიწვია მისმა მოხერხებულმა და მართებულმა მოქმედებამაო. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ინგლისსა ჰსურს დაიცვას საკონსტიტუციო უფლებანი ბოლგარიისაო. მეორე მინისტრი სმიტი ამტკიცებდა, რომ ინგლისი არას დროს არ აგულიანებდა ავსტრიას ომისათვისაო და მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ დაიცვას მშვიდობიანობა და შეასრულოს თავისი ვალდებულებანიო.

სტამბოლი, 3 თებერვალს. აქედამ ალექსანდრიაში წასულს ფოსტის გემს „Царица“-ს უბედურება ეწვია სირს ახლოო. დაწვრილებითი ამის ამბავი ჯერ არ არის მიღებული.

ვენა. ავსტრიის დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კამისიამ ერთხმად გადასწყვიტა საიდუმლო კრებაზედ, რომ 12 მილიონი გადაიდოს შეთოფ-იარაღებისათვისაო.

პეშტი. ვენგრიის დეპუტატთა პალატამ ერთ-ხმად გადასწყვიტა გადაიდოს $7^{1}/_{2}$ მილიონი მილიციის შეთოფ-იარაღებისათვისაო. ამასთანავე მთავარ-მინისტრმა ტისსამ განიმეორა, რომ მხოლოდ სიფრთხილის გამო ვათოფ-იარაღებთ ჯარსაო, განსაკუთრებით ქვეყნის დასაცველადა და დასაფარავადაო და არა ომისათვის მოსამზადებლადა და ჯარის დასაყენებლად საომარ-ფეხზედაო.

ოდესა. „რუსეთის საზოგადოების“ გემი „Царица“, საიდამ რომ გაემართა ალექსანდრიისაკენ, არხიპელაგში ჭორობს დაეჯახა, გვერდი გაუტეხა და ერთს კლდეზე გარიყა. შიგ მყოფნი გადარჩენილ იქმნენ. გაიგზავნა გემი „Чихачевъ“-ი და „Александръ“-ე „Царица“-ს დასახსნელადაო.

9 თებერვალს.

პეტერბურგი. გუშინ პეტერბურგის უნივერსიტეტმა იდღესასწაულა მე 69 წელი თავის არსებობისა. დღესასწაულზე დაესწრნენ: საერო განათლების მინისტრი, მისი თანაშემწე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი თავის თანაშემწეთითურთ, ქალაქის თავი, მოსკოვის მიტროპოლიტი, უმაღლესი სასულიერო წოდება და ბევრნი სხვა წარჩინებულნი. სიტყვა წარმოსთქვეს: პროფესორმა პოზდნეევმა რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთ-შორის განწყობილობაზე და დოცენტმა მოროზოვმა პუშკინზე. ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში ამ ხანად ითვლება 2127 სტუდენტი და თავისუფალნი მსმენელნი და 150 პროფესორი და ლექტორი. სტუდენტებისთვის ჯილდოდ მიუციათ 3 ოქროს მედალი და 11 ვერცხლისა. უნივერსიტეტის საპატიო წევრად ამორჩეულია პროფესორი ტაგანცევი.

გუშინ პულკოვის ობსერვატორიაში იდღესასწაულეს ამ ობსერვატორიის დირექტორის სტრუვეს 50-ის წლის იუბილეი. ხელმწიფე იმპერატორმა ნიშნად სამეცნიერო ღვაწლისა და ხანგრძლივის სამსახურისა უბოძა ხარისხი „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკისა“. სტრუვეს ბევრმა მოულოცა და ბევრი დეპეშები და წერილებიც მოუვიდა; სხვათა შორის მოულოცეს: დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ, დიდის მთავრის მიხეილის ასულმა ეკატერინემ, შინაგან და გარეშე საქმეთა და გზათა მინისტრებმა და ბევრმა სხვა მაღალ-წოდების კაცებმა, აგრეთვე ყაზანის უნივერსიტეტმა და ბუნების მეტყველების საზოგადოებამ, რომელსაც ამასთანავე სტრუვე თავის წევრად ამოურჩევია. სხვა და-სხვა უწყებათა და საზოგადოებათა თავიანთ წარმომადგენელნი გამოეგზავნათ მისალოცავად.

გუშინ დიდის ამბით გამართეს პეტერბურგში პირველი თეატრი მდაბიოთათვის (нородный театрь). ეს თეატრი ფაბრიკანტების და მექარხნეების ფულით არის აშენებული.

გაზეთ „С.-Петерб. Вѣд.“-ის შეუტყვია, რომ ნავთზე ან ნავთის ნაცეთარზე ბაჟის დადების საქმე გადუდვიათ ორისა თუ სამის წლით მაინცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 9-ს თებერვალს ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ..
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— »	— »	9 9
ტამოჟნის კუპონები . .	— »	— »	$176^{1}/_{2}$
5% პირველის შინარის სესხმის მომგები ბილეთი	— »	— »	$232^{1}/_{2}$
— მეორისა	— »	— »	$103^{1}/_{4}$
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— »	$97^{3}/_{4}$	— »
ქუთაისის ბანკისა . . .	— »	$97^{3}/_{4}$	— »
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— »	$85^{3}/_{4}$	— »

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.
დიდმარხვა—16 თებერვალს, აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24, 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

10 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ხარლამპი მღვდ., პორფირისა. წმ. ანასტასი ეპისკ. და სხ. კათოლ. ირინიასი. სომეხ. წმ. ღევონდიან მღვდელთა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 5—42.

11 დღე ოთხშაბათი. მოწ. ეპისკ. ვლასისა. კათოლ. ევფოსინისა და ლუციანასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. დაბადება მთვარისა დილის 12 საათსა და 44 წუთზედ.

12 დღე ხუთშაბათი. მელეტ. არხიეპისკ., წმ. შიო მღვიმელისა. კათოლ. ევლიალისა და პეტრესი. სომეხ. ვარდანიან მხედართ-მთავართა, 1036 მოწამეთა სომეხთა. ქუთაისში დაარსდა გიმნაზია, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 5—45.

განცხადებანი

სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების ძალით, დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მეუღლეს **ნინა პავლეს ასულს ბელსკაიას** და რომელიც იმყოფება ტფილისის ქალაქის მეცხრე ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზედ. ეს უძრავი ქონება არის ერთ-სართულიანი სახლი ყოველის საჭირო შენობებით და თავის ეზოთი. ამ სახლს თავის ეზოთი ეკუთვნის მიწა სივრცით $289^{1}/_{4}$ ოთხკუთხი საჟენი. ეს მამული დაფასებულია ოთხას-ოთხმოც თუმნათ (4,800 მან.). ეს მამული იყიდება იმ ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია მამულის პატრონს, ბელსკისას, ტფილისის ქალაქის სამატის ფულისა (**вспомогательный капиталъ гор. Тифлиса**) და ყოფილის ამიერ-კავკასიის პრიკაზისა. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა **1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზედ**, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, საცა შეეძლებათ განიხილონ დაწვრილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი, ამ გასყიდვის შესახები. (3—2)

ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველ-დღე 12 საათიდამ 2 საათამდე ბანკის სადგურში ისყიდება კერძო მორიგებით ქვემოხსენებული მამულები. თუ ვინიცობაა ერთსა და იგივე მამულს ორი მყიდველი აღმოუჩნდა, მაშინ მამული დარჩება იმ მყიდველს, რომელიც უფრო უმეტესს ფასს მისცემს.

ქალაქის მამულები

ქანანოვისა, მაგდანა პეტრეს ასულისა. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველისავე მოწყობილობით და მიწა $190^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხ. საჟ. 1 არშ. და 188 ოთხ-კუთხი ვერშოკი ტფილისში, დავიდოვის და კომენდანტის ქუჩების კუთხეში.

ამიროვისა, ალექსანდრე სტეფანის ძისა და მირზოევისა, გაბრიელ მინაის ძისა: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიშენებულით, ფლიგელებით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 495 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ველიამინოვის და განოვის ქუჩებზე.

პრაკაპოვიჩისა, სიმეონ პრაკოფიევის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და ყოველისავე მოწყობილებით, ერთ-სართულიანივე სახლი საჯინიბოთი და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი, სხვა შენობებით და საჯინიბეთი. მიწა $1756^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე.

თუმანოვისა, სვიმონ თომას ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწა $241^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ ქ. ალექსანდროპოლში.

ისარლოვისა, რაფაელ პეტრეს ძისა. ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილებით. მიწა 242 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, კუკიაში, წყლის-პირის ქუჩაზე.

მირზახანოვისა, ივგორ გრიგორის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელი ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 1060 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ავლაბარში.

მირზახანოვისა, ივგორ გრიგორის ძისა. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილებით, მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, ავლაბარში.

მადალოვისა, მარიამ დიმიტრის ასულისა. ოთხი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ხუთი ერთ-სართულიანი სახლივე ფლიგელებით და სარდაფებით, მიწა 958 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, დამოქნის ქუჩაზე, ძველის დამოქნის ახლო.

სოფლის მამულები

მელიქ-შახნაზაროვისა, იოსებ-ბეგ ბაგრამ-ბეგის ძისა. სახნავი და საძოვარი მიწები, სულ 950 დესეტინა, 275 ოთხ-კუთხი საჟ. განჯის გუბერნიაში და იმავე მაზრაში, სოფ. ყარაარხში, რკინის გზის ლიანდაგს ახლო, განჯისა და შამხორის რკინის-გზის სადგურების შუა.

მიხაილოვისა, ნატალია თომას ასულისა. სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები და ტყე, სულ 422 დესეტინა 1160 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გვარებში.

ზანდუკელისა, ოტია გიორგის ძისა. სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები და ტყე, სულ 473 დესეტინა 1,200 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. ბულაჩაურში.

ჯორჯაძებისა, მიხაილ ნოდარის ძისა და კონსტანტინე სოლომონის ძისა. ვენახი, ზომით 3 დესეტ. 2160 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ საბუეში.

დაწვრილებულ ცნობათა შეტყობა ყოველივე ზემოხსენებულის მამულებისა შეიძლება ბანკის სადგურში ყოველ-დღე 10 საათიდამ 2 საათამდე. (5—2)

Дов. ценз. Тиф. 9 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**